საქართველოს ერი

გაზეთი გამოდის 1921 წლიდან

14 თებერვალი ხუთშაბათი 1991 № 18 (11651)

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 10 კაპ.

კანადელები ურთიერთთანამშრომლობას გვთავაზობენ

ინიციატივა კანადისა და საქართველოს საქმიანი თუ შემოქმედებითი წრეების ურთიერთობაზე კანადელებს ეკუთვნით. ვიდრე ამაზე უფრო წვრილად გიამბობთ, შეგახსენებთ ჩვენს გაზეთში გასულ წელს, კერძოდ 15 ნოემბერს, დაბეჭდილ ნარკვევს ქართველ ემიგრანტზე, კანადის ფირმა „კავკასიონის“ ვიცე პრეზიდენტზე, ბატონ ვახო მარგველაშვილზე სათაურით „კონტინენტიდან კონტინენტამდე“. მაშინ ჩვენს მკითხველს დაწვრილებით ვუამბეთ „კავკასიონის“ ხაქმიანობის შესახებ და თან შევპირდით, რომ პერიოდულად მივაწვდით ინფორმაციებს ამ ფირმის საქართველოსთან ურთიერთობის შემდგომი ნაბიჯების შესახებ. და აი, ამ დღეებში ბატონი ვახო, ამჯერად კანადელ და ამერიკელ ბიზნესმენებთან ერთად კვლავ ეწვია საქართველოს. მათი ვიზიტის მიზანი მართლაც ძალზე სახიხარულო და ჩვენი რეალობისთვის აგრერიგად საჭირო გახლავთ: დაამყარონ ურთიერთხელსაყრელი კონტაქტები, ითანამშრომლონ მრეწველობისა თუ კულტურის სფეროში. ყოველივე ეს, რასაკვირველია, დიდად შეუწყობს ხელს საქართველოს გასვლასა და დამკვიდრებას მსოფლიო არენაზე, როგორც პოლიტიკურ-ეკონომიკური, ისე კულტურულ-შემოქმედებითი ასპექტის თვალსაზრისით.

თბილისში ყოფნისას ჩვენი სტუმრები მიიღო საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ბატონმა თენგიზ სიგუამ. საუბარს ესწრებოდნენ კულტურის მინისტრი ბატონი ნოდარ წულეისკირი, მინისტრის მოადგილეები: ბატონი გიორგი მარჯანიშვილი და ბატონი ბესარიონ გუგუშვილი. საუბრისას გადაწყდა, რომ საქართველოს დედაქალაქში გაიხსნება კანადის კორპორაცია „კავკასიონის“ წარმომადგენლობა, რომელსაც ექნება საკუთარი ანგარიში ადგილობრივ ბანკში, მათთვის გამოყოფენ ოფისსაც. ამ წინადადების ოფიციალურად გაფორმება ამ დღეებში მოხდება და ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელობის აზრსაც ამ ახალი საქმიანი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ მაშინ მოგაწვდით. ახლა კი ჩვენს სტუმრებს მოვუსმინოთ.

გორდონ ალტმანი, კანადაში იურიდიული კორპორაცია „ალტმან“-ის პრეზიდენტი და მფლობელი, იურისტი, ბიზნესმენი:

„ალტმანი“ უწევს იურიდიულ დახმარებას კანადის მსხვილ ფირმებსა და კორპორაციებს, აგრეთვე საერთაშორისო ფირმებს. „კავკასიონი“ ჩვენი პარტნიორია, პირადად მე ვარ მისი აქციების მფლობელი. ჩემი მასთან ურთიერთობა ორმა მიზეზმა განაპირობა: აქციების შესყიდვამ და კიდევ იმან, რომ უკვე კარგა ხანია დაინტერესებული ვარ „აღმოსავლეთის ბლოკით“. თითქმის მთელი აღმოსავლეთი მოვიარე, აი, საქართველოს შესახებ კი არაფერი ვიცოდი მანამ, სანამ ბატონ ვასოს შევხვდებოდი. ჩვენი გაცნობა 3 წლის წინ მოხდა. ვასომ და მისმა მეუღლემ ჯულიანამ როგორც იურისტს დასახმარებლად მომმართეს. მათი სურვილი იყო ფირმა „კავკასიონის“ საქართველოში ორიენტაცია. როდესაც დაწახეს, რომ მათმა საქმიანობამ ჩემში დიდი ინტერესი აღძრა, შემომთავაზეს ურთიერთთანამშრომლობა. 1988 წელს პირველად ვეწვიე საქართველოს და მაშინვე ვიგრძენი, რომ მას უნდოდა შეეცვალა ცხოვრების სტანდარტები. მაშინვე ვიგრძენი ისიც, რომ ბიზნესის გაშლის თვალსაზრისით იგი მომავალში კარგი ასპარეზი გახდებოდა, მითუმეტეს, რომ ასე თვალშისაცემია თქვენი უნარი, ნიჭი, მიდრეკილება ბიზნესისადმი და მისი განვითარების სურვილი.

მართალია, საქართველოს დღევანდელი ვითარება გვაფიქრებს, მაგრამ გარდამავალი პერიოდისთვის ასეთი არასტაბილური ვითარება დამახასიათებელია, და არ მეგულება ქვეყანა, რომელშიც ამ ხელა პოლიტიკური ცვლილებები

(დასასრული მე-2 გვ.).

ხურათზე: ლილიან ხო, ვახო მარგველაშვილი, გორდონ ალტმანი, რახელ ვრილანდი მოლაპარაკებისას.

ხ. ედიშერაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა პრეფექტად დანიშნა

ჩოხატაურის რაიონში — მიხეილ ცულიკოს ძე მარი

გალის რაიონში — ედიშერ კალისტრატეს ძე ჯანჯულია

ყვარლის რაიონში — ლევან შალვას ძე იაშვილი

თეთრი წყაროს რაიონში — ოლეგ კორნელის ძე გორგასლიძე

ახალციხის რაიონში — თამაზ ივანეს ძე ამბროლაძე — მამა თევდორე

ქ. რუსთავში — თეიმურაზ არჩილის ძე ჯანელიძე

ბორჯომის რაიონში — ნიკოლოზ არჩილის ძე ხაჰაპურიძე

ბოლნისის რაიონში — იოსებ ზურაბის ძე გარათაშვილი

არ გათეთრდების...

თითქოს იმედის სხივი გამოჩნდა, როცა საქართველოს კომუნისტური პარტია დამოუკიდებელი გახდა და როცა ბატონმა ა. მარგიანმა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიაზე რიხიანი სიტყვა წარმოთქვა. მაგრამ მისი დემაგოგიური და პროვოკაციული ხასიათის პასუხი ბატონ თამაზ ადამიას წერილზე და განსაკუთრებით საქართველოს კომპარტიის მიერ ახლახანს მიღებული კრემლის „საჩუქარი“, კარგს არაფერს უქადის ჩვენს სამშობლოს...

ჭეიოალნიშნულის გამო, პროტესტს ვუცხადებ საქართველოს დამოუკიდებელი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობას და გავდივარ საქართველოს კომუნისტური პარტიის რიგებიდან.

შ. ხეცურიანი,
მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, დიდი სამამულო ომის ვეტერანი, საქართველოს დამსახურებული ექიმი.

დღეს ჩვენი გაზეთის მე-6 და მე-7 გვერდებზე ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების ხელმძღვანელობის ორი მიმართვა ქვეყნდება. ორივეში არცთუ შეფარვით და არცთუ ორაზროვნადაა გამოხატული მკაცრი, აგრესიული პოზიცია, რომელიც ტრადიციულად გაღმა შედავების პოლიტიკას ემყარება. მათში ძნელი არაა დაინახო რეალური მუქარა, ხოლო წითელმა არმიამ დაპირების აღსრულება რომ იცის, ეს ყველასთვის კარგადაა ცნობილი.

მოახლოვდა „დიდი საბჭოური დღესასწაულები“ — 23 და 25 თებერვალი. განსაკუთრებული სიფრთხილე გვმართებს საპროტესტო აქციების ფორმების შერჩევისა და მასშტაბების განსაზღვრისას. არ უნდა დავივიწყოთ, რომ სამხედრო ტაქტიკა საბაბის ძიებაში მდგომარეობს.

ეს ჩვენი ისტორიაა

ოცარცეს კოშკი



იგი მდებარეობს გალის რაიონში, მდინარე ენგურის მარჯვენა ნაპირას — ზუგდიდიდან გალისკენ მიმავალი გზატკეცილის მახლობლად. მას ოცარცეში ჯიხას უწოდებენ. იგი აგებულია რიყის ქვისაგან. კოშკი სამხართულიანია, მის პირველ სართულს აქვს ვიწრო ჩასასვლელი. ოცარცეს კოშკიდან გვირაბი გადის ენგურში. ოცარცეს კოშკზე სულ ახლახან დაიწყო სარესტავრაციო სამუშაოები აფხაზეთის 'ოჩამჩირის სარესტავრაციო უბანმა, რომელსაც ხელმძღვანელობს არქიტექტორი ჯავარ სალია. აღდგენილია კოშკის გალავნის ნაწილი. მიმდინარე სარესტავრაციო სამუშაოებს ოპერატიულად უძღვებიან ახალგაზრდა რესტავრატორები რევაზ ნაუეებია და ვლადიმერ მჭედლიშვილი.

თამაზ ქიქავას ტექსტი და ფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კანადელები ურთიერთთანამშრომლობას გვთავაზობენ

(დასასრული)

უმტკივნეულოდ მიმდინარეობდეს. ასე რომ, არასტაბილურობა არ შეიძლება გახდეს მიზეზი იმისა, რომ შეწყდეს ყველაფერი — კონტაქტები, ბიზნესი, მიმოსვლა და ა. შ. ეს სავსებით მისაღები რისკია. თუმცა შესაძლებელია ბიზნესმენთა ეს გაბედულება იმითაც აიხსნას, რომ საბჭოთა კავშირი ფაქტიურად დარჩა მსოფლიოში ერთადერთი, რომელიც ბიზნესისათვის „აუთვისებელია“.

ვფიქრობ, ჩემი მასპინძლები ძალზე არ გამინაწყენდებიან, თუ ერთ ასეთ პატარა შენიშვნას გავაკეთებ. ჩანს, თქვენში ჯერ ისევ ძლავრობს ბიუროკრატიის „წითელი ბარიერი“. ამას მე ხშირად ვგრძნობდი საქმიანი მოლაპარაკებისას, ძალზე ძნელად ილებენ გადაწყვეტილებებს; ერთ მაგალითად ალბათ ისიც გამოდგება, რომ მესამე დღეა აქ კარ და ფირმის ანგარიშის გახსნას ვერ მივაღწიეთ. დასავლეთში მსგავს ოპერაციებს 1-2 წუთი სჭირდება, და თან ამის გამო პრემიერმინისტრს არავინ აწუხებს.

მე ბედნიერი მივემგზავრები აქედან, პირველი საქმიანი მოლაპარაკება საოცრად სასიამოვნო, თბილ ვითარებაში ჩატარდა. იმედით სავსე ვბრუნდები შინ, რომ ჩვენი საქმიანი კონტაქტები მართლაც მაღალ დონეზე წარიმართება და შედეგიც სათანადო ექნება. აქ გატარებულ ყველა დღეზე ეცოდინებათ ჩემს კოლეგებსა და ახლობლებს. ეს კი, გპირდებით, უეჭველად გახდება მომავალში მრავალი ახალი ორმხრივად სასარგებლო კონტაქტების საფუძველი.

ლილიან სო, კანადური ფირმა „ექსი ინთერნეიშნლ“-ის დირექტორი, ბიზნესმენი, ფსიქოლოგი, კომუნიკაციების სპეციალისტი.

— ჩემი ფირმა ანხორციელებს საერთაშორისო ვაჭრობასა და ფულის დაბანდებას. კონტრაქტები გვაქვს ქვეყნებთან: ჰონგ-კონგი, კორეა, ჩინეთი, სინგაპური, ტაილანდი, ტაივანი, ინდონეზია, აშშ. ამ ქვეყნებში დახმარებას გვიწევს ადგილობრივი მთავრობა, ბანკები, ფინანსური წრეები, მწარმოებლები და პარტნიორები ვაჭრობაში.

წელიწადზე მეტია „კავკასიონთან“ ვთანამშრომლობ. მე ამთავითვე ვიგრძენი, თუ როგორაა დაინტერესებული ბატონი ვასო საქართველოს ბედით, როგორ უნდა გააკეთოს რაიმე კარგი მისთვის, და არ შემძლო მისი ეს თვისება არ დამეფასებინა — მეც ხომ ოკეანის გაღმიდან ვარ...

საქართველოში პირველად ვარ, მაგრამ კარგად ვამჩნევ მის დიდ პოტენციას ბიზნესისათვის. მე პარალელს ვავლებ ჩინეთსა და საქართველოს შორის, როდესაც მან პირველად გაუხსნა კარი ბიზნესს (რასაც საქართველო ახლა ცდილობს), მაშინ ჩინეთს წინ უამრავი პრობლემა გადაეღობა, მაგრამ დღეს იგი მსოფლიოს უძლიერესი ქვეყნების რიგებშია. ჰონგ-კონგს 40 წელი დასჭირდა იმის მისაღწევად, რასაც დღეს წარმოადგენს... საქართველოს პრობლემები ერთ ღამეში არ შექმნილა და არც ერთ ღამეში გადაწყდება. მაგრამ იგი უეჭველად ძალზე ბევრს შესძლებს, ისევ და ისევ თავისი პოტენციალის წყალობით.

როგორც ფირმის ვაჭრობის სფეროს წარმომადგენლებმა, შემიძლია გითხრათ: ჩვენ საშუალება გვაქვს შევისყიდოთ მაღალი ხარისხის საქონელი იმ ქვეყნებიდან, რომლებიც ზემოთ ჩამოთვალე, მაგრამ, აქ ორი უმთავრესი პრობლემაა: ვალუტა და ტრანსპორტი. ბიზნესის დასაწყისში ჩვენ მზად ვართ ვაჭრობა განვახორციელოთ საბჭოთა ფულზე. რაც შეეხება საქონლის ტრანსპორტირებას — ეს უფრო მძიმე მოსაგვარებელია, რადგან ახლა სპარსეთის ყურეში მიმდინარე ომმა ძალზე შეაფერხა საზღვაო გზები, სარკინიგზო გზა ძალზე გრძელი და არასახარბიელოა, თვითმფრინავი კი ძალზე ძვირი ჯდება... მაგრამ ახლა საქართველოდან იმდენი სითბო მიმყავება, რომ ვფიქრობ, ეს ადამიანური ფაქტორი ბევრი სიძნელის დაძლევას შემაძლებინებს...

რასელ ვრილანდი, ამერიკელი ბიზნესმენი, ჰოლივუდის ფირმის „ბერი ენდ ენრაიდ“-ის ვიცე-პრეზიდენტი:

— ლოს-ანჟელესი და ვანკუვერი დამმობილებული ქალაქებია. მათი კომიტეტის ინიციატივით აღმოვჩნდი მიპატიჟებული ქალაქ ვანკუვერში, სადაც გავიცანი ბატონი ვასო. მისგან გავიგე, რომ კავკასიონთან არსებობს საქართველო...

მე, როგორც კინოხელოვნებით დაინტერესებულმა ბიზნესმენმა, შევთავაზე საქართველოს კულტურის მინისტრსა და მის მოადგილეს ჩვენი ურთიერთობის ასე წარმართვა: ჩავატაროთ საქართველოში კინოფესტივალი, რომელზეც ჩამოვლენ პროდიუსერები, მსახიობები, რეჟისორები და სხვა; ჩვენ შეგვიძლია თქვენ მოგაწოდოთ კინოაპარატურა, კინოფირი და საერთოდ ყველაფერი, რაც კინოწარმოებასთანაა დაკავშირებული. ვიცით, რომ თქვენთან იგი დეფიციტს წარმოადგენს; ჩვენ კი მისი ექსპორტირება გვსურს; შეგვიძლია წარმოგიდგინოთ პროექტი, რომელიც ითვალისწინებს თბილისში „მინი ჰოლივუდის“ გახსნას. ასეთმა მინი ჰოლივუდმა, მაგალითად, კანადაში დაარსების პირველ წელს ქვეყანას 35-40 მლნ. დოლარი მოგება მისცა, მეათე წელს კი მოგება 300 მლნ. დოლარამდე გაიზარდა. ყოველივე ამან არნახული ეფექტი მოუტანა ადგილობრივ ეკონომიკას და მალე თითქმის ყველა სფერო მოიცვა.

ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა უფრო ფართოდ წარიმართოს ჩვენი ურთიერთთანამშრომლობა, ამისათვის, ვფიქრობ, მიზანშეწონილი იქნება საქართველო-ამერიკა-კანადის ერთობლივი კულტურული ცენტრის შექმნა...

●

ჩვენი სტუმრების შთაბეჭდილებებსა და მიზნებზე, ცხადია, უფრო დიდხანს და ვრცლად შეიძლება ლაპარაკი. მაგრამ საგაზეთო ფართი ამის შესაძლებლობას არ იძლევა. ჩვენ კვლავ დავუბრუნდებით ფირმა „კავკასიონის“ საქმიანობას და ღღევანდელ პუბლიკაციას დავასრულებთ იმით, თუ რა აზრით სტოვებდნენ უცხოელი ბიზნესმენები საქართველოს:

„ჩვენ უნდა ვიყოთ და ვაქნებით „კარგი“ ბიზნესის თვალსაზრისით, რათა საქართველოს ახალ მთავრობას შეექმნას რწმენა დასავლეთის სამყაროსთან „ბიზნესით“ ურთიერთობის სიკეთისა. ეს ჩვენი უმთავრესი მისიაა“...

ნინო კლარჯეიშვილი

ღვთისშვილთა კავშირში

სრულიად საქართველოს ღვთისშვილთა კავშირის პრესცენტრი იუწყება, რომ ჭართული სეძიტოლოგიის პატრიარქის აკადემიკოს ✝ წერეთლის დაბადების 70 წლისთავთან დაკავშირებით, კავშირის პრეზიდენტმა ზაზა სიხარულიძემ მისალოცი ბარათი გაუგზავნა იუბილარს. ბარათში, კერძოდ, ნათქვამია: „თქვენ, მსოფლიოში სახელმოხვეჭილი მეცნიერი ჩემთვის, თქვენი ერთ-ერთი მოწაფისათვის, ზნეობრივად გაუტეხლობისა და სიწმინდის მისაბაძი მაგალითი ბრძანდებით“.

ბატონი კონსტანტინე წერეთელი არჩეულია კავშირის მერად კოსტავას სახელობის ჰუმანიტარული ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრად.

კავშირის პრესცენტრი იუწყება, აგრეთვე, რომ ა. წ. 20 თებერვალს, ოთხშაბათს, 13 საათზე, კავშირის რეზიდენციაში (თბილისი, წერეთლის 144), მოწვეულია კავშირის რესპუბლიკური, რეგიონალური, რაიონული, ზონალური, საქალაქო ორგანიზაციების ხელმძღვანელობისა და ჰუმანიტარული ინსტიტუტის გაერთიანებული თათბირი.

მცირე ბიზნესის განვითარება საქართველოში

ვიღებულია საწარმოთა დაყოფა მცირე, საშუალო და მსხვილ საწარმოებად. თუ მსხვილი საწარმოებისათვის ძირითად დადებით თვისებად შეიძლება ჩაითვალოს მისი სტაბილურობა, მცირე და საშუალო საწარმოებისათვის მთავარი უპირატესობა არის ბაზრის მოთხოვნაზე მობილური რეაგირება, მოქნილობა. უხეშად რომ ვთქვათ, ასეა განაწილებული როლები კონკურენტულ ბრძოლაში. ყველა ნახულობს თავისთვის ხელსაყრელ „ატმოსფეროს“.

განვითარებული ქვეყნების ეკონომიკაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ე. წ. „მცირე ბიზნესს“. ამ ბიზნესს მცირე ეწოდება არა იმიტომ, რომ მისი ხვედრითი წილი ქვეყნის ეკონომიკაში მცირეა, არამედ თვით ბიზნესის შემადგენელი სტრუქტურების სპეციფიკის გამო, რომელიც აერთიანებს უამრავი სახის მცირე საწარმოებს, კერძო მეწარმეებს, საქმოსნებს, ბიზნესმენებს, მენეჯერებს, კომერსანტებს, ბროკერებს,

ჩვენში ჯერჯერობით ფაქტობრივად არ არსებობს მცირე ბიზნესის მცნება. მცირე საწარმოები თუკი არსებობენ, თავისი ტექნიკური აღჭურვილობით ისინი ჩამორჩენილობისა და სიღატაკის სინონიმები არიან, ხოლო მეწარმეთა მოქმედების სფერო ძალზედ შეზღუდულია.

სსრკ მინისტრთა საბჭომ 1990 წლის აგვისტოში მიიღო ცნობილი დადგენილება, რომლის მიხედვითაც მცირე საწარმო შეიძლება შეიქმნას არსებული საწარმოს ბაზაზე, საწარმოს არარენტაბელური საამქროს უბანზე, რამოდენიმე საწარმოს წარმოების საშუალებების გაერთიანებით, ანდა სულაც მოქალაქეთა ჯგუფის მიერ.

ეს დადგენილება ალბათ გულისხმობდა მცირე ბიზნესისათვის საწარმოო ბაზის შექმნას, რათა ეკონომიკაში გაჩენილიყო მოქნილი სექტორი, რომელიც ბაზრის სუნთქვას ყოველდღიურად შეიგრძნობდა.

საქართველოს რესპუბლიკაში ჯერ კიდევ მოქმედებს სსრკ მინისტრთა საბჭოს ზემოთ ხსენებული დადგენილება, რომლის მიხედვითაც მცირე საწარმოს „დაბადება“ ასე ხდება: საჭიროა განცხადების, წესდების, საწარმოს ადგილმდებარეობის შესახებ ცნობის და კიდევ რამოდენიმე დოკუმენტის შეტანა რაიაღმასკომში. ამის შემდეგ იწყება გაუთავებელი სიარული (და არა იმიტომ, რომ აღმასკომში პიროვნულად ვინმეა ამაში დამნაშავე), იმიტომ, რომ ამ დადგენილების მიხედვით აუცილებელია სხვადასხვა სახის ფორმალობის ჩატარება. არის კმათი ფუნქციების შესახებ, ამოღების, დამატების და ა. შ.

და ეს ყველაფერი იმისათვის, რომ მცირე საწარმოს მიეცეს იურიდიული სტატუსი, ე. ი. ჰქონდეს ბეჭედი და ანგარიში ბანკში.

განა ეს აბსურდული არ არის? ნებისმიერ ქვეყანაში, ქვეყნის მოქალაქე მიდის მუნიციპალიტეტში, იხდის გარკვეულ თანხას, მის საქმიანობას აფიქსირებენ (რათა მან გვერდი არ აუაროს გადასახადებს) და რაც გინდა გააკეთე. მოუტანე სარგებელი შენს ქვეყანას და შენს თავს. არავინ კითხულობს, რა ფუნქციები გაქვს, ძაღლების საკვებს დაამზადებ თუ პროგრამას შეუდგენ კოსმიური ხომალდის კომპიუტერს, ოღონდ წინასწარ ცნობილია, რომ არ უნდა აწარმოო ისეთი საქმიანობა, რომელიც ეწინააღმდეგება ქვეყნის კანონმდებლობას, ზიანს მოუტანს ადამიანებს, ან გარემოს.

ჩვენთან კი მოქალაქეს, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს მყისიერად დაბადებული მშვენიერი იდეა — საქმე, იმისათვის რომ მან ეს განახორციელოს, უნდა გახდეს „იურიდიული“ პირი, მოახდინოს კოოპერატივის, ან მცირე საწარმოს რეგისტრაცია, და ამას მოანდომოს არამარტო რამოდენიმე თვე, არამედ თავისი ენერგიის ძირითადი ნაწილი.

განა ასეთ დროს შეიძლება ლაპარაკი, ცოცხალი საბაზრო ეკონომიკის შესახებ?

წარმოვიდგინოთ რა მოხდება, და დიდ ბრიტანეთში, სადაც კერძო სექტორი მოიცავს 1 მილიონ ინდივიდუალურ საქმოსანსა და მეწარმეს, არის დაახლოებით 856 ათასი კომპანია, ფირმების რეგისტრაციის ისეთივე ფორმა, რომ არსებობდეს როგორც ჩვენში. იმავე დიდ ბრიტანეთში, სახელმწიფოში მთლიანად წარმოებული პროდუქციის მოცულობიდან ინდივიდუალურ და ამხანაგურ ფირმებზე მოდის 20, ხოლო კომპანიებზე 50, კორპორაციებზე კი 11 პროცენტი პროდუქციისა.

კიდევ უფრო დიდია ხვედრითი წილი მცირე ბიზნესისა ამერიკის შეერთებულ შტატებში. აქ ფირმების ძირითადი სამართლებრივი ფორმა პირველ რიგში არის ინდივიდუალური მეწარმე, ხოლო შემდეგ ამხანაგური და კორპორაციული.

აშშ-ში ამჟერად არის 10 მილიონი ინდივიდუალური მეწარმე! ყოველწლიურად წარმოიშობა 500-600 ათასი ახალი ფირმა! (რა ოქმა უნდა ბევრი უქმდება, გაკოტრებისა და სხვა მიზეზების გამო). ეს 10 მილიონი შეადგენს ყველა არსებული ფირმის 70 პროცენტს! ე. ი. ყოველი 25-ე 30-ე ადამიანი არის ინდივიდუალური მეწარმე, საქმოსანი.

და ეს მცირე ბიზნესი არის ეკონომიკის ყველაზე უფრო მობილური, ყველაზე უფრო მყარი დასაყრდენი. ის რაც სხვაგან საყრდენია, ჩვენთან ფაქტიურად არ არსებობს.

საინტერესოა ორიოდე სიტყვით ვთქვათ, თუ როგორია ინფრასტრუქტურა აშშ-ში ფირმებისა. სამეწარმეო კომპანიების შემდეგ მოდის სასოფლო და აგრარული კომპანიები, შემდეგ სამშენებლო, საინჟინრო-კონსულტაციური, სატრანსპორტო და ტელეკომუნიკაციური. აშშ-ში მხოლოდ ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში არის 200 ათასი ასეთი ფირმა, ხოლო იაპონიაში 161 ათასი; ყოფილ გფრ-ში 80 ათასი. საშუამავლო, სავაჭრო, საექსპორტო და საიმპორტო ფირმების რაოდენობა აშშ შეადგენს 3,5 მილიონს, იაპონიაში 3 მილიონს, და თუ დავუკვირდებით, რაც უფრო მაღალგანვითარებულია ქვეყანა, რაც უფრო მძლავრია იგი, მით მეტია იქ ყველანაირი საშუამავლო ფირმები, რადგანაც ისინი ხდებიან ძირითადი „მებრძოლნი“ ბაზარზე.

ზემოთ თქმული სულაც არ ნიშნავს, რომ საბაზრო, დიქტაციისაგან თავისუფალი ეკონომიკა, ეს არის ქაოსი, თავისთავს მინდობილი სფერო და სახელმწიფო სტრუქტურები არ ცდილობენ და არ აღწევენ ეკონომიკისა და ბიზნესის რეგულირებას. საქმე ისაა, რა საშუალებებით, რა მეთოდებით განხორციელდება ეს რეგულირება. ბრძანების, აკრძალვის, თუ წახალისებისა და სხვა საქმიანობისათვის სასიკეთო პირობების შექმნით.

სულ უბრალო მაგალითი. აძას წინათ თბილისის ერთ-ერთ აღმასრულებელ კომიტეტში გავიგე, ნამცხვრებისა და საკომისიო კოოპერატივებს აღარ გაუხსნითო. აზრი ყველასთვის გასაგებია. ნამცხვრების კოოპერატივმა ალბათ მხოლოდ ის მოუტანა ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკას, რომ შაქრის ავადმყოფობით დაავადებულ მოქალაქეთა რაოდენობა გაიზარდა, ხოლო კომერციულმა მაღაზიებმა, საბოლოოდ შეარყიეს ფასწარმოქმნის ყოველგვარი კრიტერიუმები. მაგრამ განა მათი აკრძალვა, მოსპობა ეს მეთოდია? სახელმწიფომ უნდა შექმნას, გამონახოს არსებული მომენტისათვის საქმიანობისა და კაპიტალდაბანდებისათვის უფრო ხელსაყრელი, მომგებიანი სფეროები, ხელი შეუწყოს მათ განვითარებას სხვადასხვა საშუალებებით (სახელმწიფო სესხებით, შეღავათიანი გადასახადებით და სხვა) და მაშინ თავისთავად მოხდება რეგულირება, მეწარმეთა სხვა სფეროებით დაინტერესება, არსებული ფასების დაწევა და სხვა.

რა თქმა უნდა ამის განხორციელება ადვილი არ არის. ამისათვის საჭიროა მთელი სამსახური, რომელიც შეისწავლის ბაზრის კონიუნქტურას, ჩაატარებს მარკეტინგულ კვლევებს, მოახდენს არსებული მომენტისათვის პრიორიტეტული მიმართულებების ფინანსირებას და სხვა.

რესპუბლიკაში უზენაესი საბჭოს I სესიაზეკე შეიქმნა, მეცნიერების, ტექნიკის და პერსპექტიული დაგეგმვის სამინისტრო, (ფაქტობრივად რამდენიმე წლის წინათ უსაფუძვლოდ გაუქმებული მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის სანაცვლოდ). ეგეგ უპრიანი იყოს ამ სამინისტრომ ითავოს მცირე ბიზნესის მარეგულირებელი ფუნქცია, დასახოს ის პერსპექტიული მიმართულებები, რომელშიც მიზანშეწონილი იქნება რესპუბლიკის ეკონომიკისათვის მეწარმეთა და ფინანსების მოზიდვა, რითაც მოხდება ცოცხალი ყოველდღიური აღქმა ეკონომიკის სუნთქვისა და მათზე დროული რეაგირება.

აქ კიდევ ერთი მომენტია. ნუ შეგვეშინდება ვინმეს გამორჩევისა და გამდიდრების (რატომღაც ამას უარყოფითი ელერადობა აქვს), თუ ეს გამდიდრება და გამორჩევა მოგვცემს თუ გიდ ერთი დასახელების საქონლის დეფიციტის შევსებას, ასეთი გამდიდრების მოწინააღმდეგე არიმგონია ვინმე იყოს. გამდიდრება არ უნდა ხდებოდეს სხვისი გაღატაკების, მოტყუების, პროდუქციის ხარისხის გაუარესების და სხვისი ჯანმრთელობის გაუარესების ხარჯზე (ამის მაგალითებს ჩვენ უამრავი გვაქვს და გვქონდა).

ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში მიესალმებიან თავის ქვეყანაში ახლად დაბადებულ ბიზნესმენსა და საზოგადოების სასიკეთოდ გამდიდრებულ ადამიანს და არა მაქინატორსა და ავანტიურისტს.

დაბოლოს, ეგეგ გადავხედოთ მცირე საწარმოთა, კოოპერატივთა და სხვა ინდივიდუალური საქმიანობის ფირმების რეგისტრაციის სისტემას, არ დაიხარჯოს ამაზე უამრავი დრო, ენერგია, ქაღალდი...

უახლოეს ხანებში უნდა ჩატარდეს მუნიციპალიტეტის არჩევნები.

ახლად არჩეულ ადგილობრივ ხელისუფლებას უფლება მიეცეს მცირე ბიზნესის ხელშეწყობისათვის მინიმუმამდე დაიყვანოს ყოველნაირი ფორმალობა.

ასე ორმხრივი — „ზემოდან“ და „ქვემოდან“ ხელშეწყობით, „ზემოდან რეგულირებით, ეკონომიკური ბერკეტებით მართვით, ხოლო „ქვემოდან“ თავისუფლებით, ხელი შეეწყოთ მცირე ბიზნესის განვითარებას და იგი ნამცხვრების კოოპერატივებამდე და კოშერციულ მაღაზიებზი არ დავიდეს ჩვენს რესპუბლიკაში. მაშინ ყველაფერი ისე განვითარდება, როგორც ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში, რაც მკვეთრად გამოაცოცხლებს და გააჯანსაღებს ჩვენს ეკონომიკას.

აკაკი ბოკუჩავა,
თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მართვის მეცნიერული საფუძვლების, სამრეწველო საწარმოების ორგანიზაციის და ეკონომიკის კათედრის უფროსი მეცნიერთანამშრომელი, მცირე საწარმო „ეკოს“ დირექტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვლავ

დავბრუნდებით,

თუ...

სამაჩაბლოში ისევ იბრძვიან ქართველები მამულის შენარჩუნებისთვის, სხვები კი — მიტაცებისთვის. ოსებისაგან შევიწროებული ქართველები იძულებით ტოვებენ მამაპაპისეულ კარ-მიდამოს. ლტოლვილებით ივსება დედაქალაქი. ამდენად, სრულიად საქართველოს ივანე მაჩაბლის საზოგადოებაში ხალხმრავლობა არ გაგვკვირვებია.

— წუხელ 19 ლტოლვილი მოგვადგა,—მითხრა საზოგადოების თავმჯდომარემ დიანა მაჩაბელმა,—აქედან 11 ბავშვი იყო. სულ პატარა 3 წლისა, სულ დიდი კი თერთმეტისა. შვიდი კილომეტრი ამ თოვლსა და ქარში ფეხით უვლიათ. მთლად გათოშილებმა საშველად მოგვაკითხეს. სასწრაფოდ აღმოვუჩინეთ დახმარება. დასაბინავებლად რომ ვისტუმრებდით, ერთი პატარა მალმალ კითხულობდა — დედა, საცა დავიძინებთ, სროლა მართლა აღარ იქნებაო?..

— ჩვენმა შვილებმა ომი საკუთარი თვალით ნახეს. ომის საშინელებამ, სროლამ, აფეთქებამ, ხანძარმა, მკვლელობამ მათ თვალწინ ჩაიარა. ბავშვები ვერ დამიწყნარებია. მთელი ღამე ბორგავენ — მიყვება ხანშიშესული ქალი.

— ჩვენ ნათესავის ბინაში ვცხოვრობთ. ახლა ტალონებისთვის მოვედი აქ. 10 თვის ბავშვისთვის შაქარი არა მაქვს, რომ საშველი მოვუმზადო.

— მე 3 შვილით ჩამოვედი. ძლივს გამოვაღწიე ცხინვალიდან, ოსები დაგვედევნენ, სროლა აგვიტეხეს...

— გუშინ ამბავი ჩამოგვიტანეს, სახლები გაუტეხავთ, რაც რამ მეგადა ალბათ წაიღეს — ჩემი ნაოფლარი, შვილები მთლად შიშველ-ტიტველი, უსახლკაროდ მრჩება მგონია. სარდაფები ხომ კარგა ხანია მიგვილეწეს და მთელი სარჩო გაზიდეს.

— ჩემს სახლში, ჩემს საწოლებში თურმე ოსები მოკალათებულან. მე კი აგერ, სხვის სახლს უნდა ვაფარო თავი.

— რაც თავი მახსოვს, სულ ოსები იყვნენ ჩვენი ოჯახის მეზობლები. არასოდეს მოგვსვლია აყალ-მაყალი. ჩვენი ბავშვები ერთად იზრდებოდნენ. რა მოხდა, ვინ წააქეზა, ვინ გაგვხადა მოსისხლე მტრებად. არ ვიცი, აწი ერთად აღარ დაგვედგომება. სხვისას არაფერს ვითხოვთ, ჩვენს მამულში დაგვაყენონ...

— ცხინვალიდან ყველა წამოვედით. მხოლოდ მოხუცი მამიდები ვერ დავიყოლიეთ წამოსვლაზე. იმათ ამბავსაც ვეღარ ვგებულობთ. ამას წინათ, ერთ-ერთი საკავშირო გაზეთის კორესპონდენტს მივეცი ინტერვიუ, მაგრამ სახელი და გვარი ვერ გავუმხილე, საშინელი შურისძიებით გვისწორდებიან ოსები და მეშინია ვინაობის გამხელა...

ჩვენც ამიტომ მოვარიდეთ თავი ჩვენი რესპონდენტების სახელითა და გვარით მოხსენიებას.

სრულიად საქართველოს ივანე მაჩაბლის საზოგადოებაში ლტოლვილების დასახმარებლად მოდიან ორგანიზაციების, კოოპერატივების წარმომადგენლები. მოდიან დედები, მოხუცები, მოაქვთ სურსათი, ხილი, ჩასაცმელი, ფული.

თბილისელმა არჩილ შოშიაშვილმა საკუთარ ჯერქვეშ შეიფარა ახალგაზრდა, სამშვილიანი ლტოლვილი ქალი.

სამედიცინო ინსტიტუტიდან ბელა მამულაშვილმა პროფესორ-მასწავლებლების ერთი დღის ხელფასი, 9383 მანეთი მოიტანა და თან თქვა, რომ ლტოლვილთათვის დახმარების გასაწევად მზადაა ყველა სამედიცინო სამსახური.

უზენაესი საბჭოს დეპუტატი გივი ლობჟანიძე ჩამოვიდა რაიონიდან და 150 ლტოლვილს ლაგოდეხის ტურბაზაში მოთავსება შესთავაზა. იქაურებს უკვე პროდუქტებზეც უზრუნიათ. რძე, ხორცი, პური — ყველაფერი მომარაგებულია...

ივანე მაჩაბლის საზოგადოებაში ამჟამად ექვსი ათასზე მეტი ლტოლვილია რეგისტრირებული. ყოველდღე მატულობს მათი რიცხვი. წყალტუბოს, ბორჯომის, კოჯრის, წყნეთის დასასვენებელ სახლებშიც მრავლად არიან. საიმედო და სანუგეშო კი თვით ლტოლვილთა სურვილია — სამუდამოდ არავის მიგვიტოვებია სამაჩაბლო. სიმართლე როგორც კი იზეიმებს, როგორც კი ჩვენსას დავიმკვიდრებთ, ყველანი ჩვენს კერებს დავუბრუნდებით. დავუბრუნდებით თუკი მოდავე, მოსარჩლე და მტერი აღარ გვეყოლებაო.

ამას წინათ ერთ თბილისელ უხუცესს შევხვდი, რომელსაც ცხინვალში გაუტარებია ყრმობა. მოხუცი გულდაწყვეტილი ამბობდა — მოხდა ისე, რომ ცხინვალის გაგონებაზე მაშინვე ოსეთს წარმოვიდგენდით. კარგა ხანს დავიწყებული გვქონდა თუ არ ვიხსენებდით, რომ ეს სამაჩაბლოს უძველესი მიწა იყო. ჩემს ყრმობაში ამ ალაგს მარტო ქართველები ვცხოვრობდით — ჭოველიძეები, მაჭავარიანები, მახარაშვილები, მაისურაძეები, დავითაშვილები, კვანჭახაძეები, გოგინაშვილები, უზნაძეები. ოსური ოჯახი რაღაც ოცამდე თუ იქნებოდა, დღეს კი გვეომებიან, ამას ვერასოდეს წარმოვიდგენდი.

წერილი მზად იყო დასაბეჭდად, როცა შევიტყვეთ, კოსტავას ქუჩაზე მდებარე სამშობიარო სახლში 3 სამაჩაბლოელი კიდევ დაიბადა, ისევ ვმრავლდებით მალთუსის ჯინაზე...

აქვე ვაქვეყნებთ განცხადებას, რომელიც რედაქციაში ქალბატონმა ზინაიდა ანთაძემ მოგვიტანა:

ყველას გვაწუხებს სამაჩაბლოში შექმნილი ვითარება და იქიდან ლტოლვილ ქართველთა ბედი. საშუალება მაქვს თბილისში ჩემს ოროთახიან, იზოლირებულ ბინაში თავშესაფარი მივცე და ნორმალური ცხოვრების ყველა პირობა შევუქმნა ერთ ქალბატონს, სანამ მისთვის ეს საჭირო იქნება.

მე თვითონ პერსონალური პენსიონერი, მარტოხელა მანდილოსანი გახლავართ. ჩემი ტელეფონია 66-65-78.

ნინო კვაჭანტირაძე

სურათებზე: ლტოლვილები ტოვებენ მშობლიურ ერას; ივანე მაჩაბლის საზოგადოებაში.

სპარტაკ ყურაშვილისა (საქინფორმი) და ოლეგ გველესიანის ფოტოები.

მაესტრო გორკი

დროს შეუფერებელი აზრები

1917 წლის თებერვალი სანიმუშებელი მოვლენა რუსეთის ხალხმრავალი ინტერის ცხოვრებაში. რეკოლუციამ დაამხეო რომანოვთა ხანგრძლივი ტირანი, რომელიც უმიდესად ეფფიანის ინტერიოის ხალვეში. ოფიციალურად მონარქია დაემხო. ბერეთის ზეგანი ამოიხეთქა. „ხალხთა ციხესიმაგრის“ კარი ერთბაშად გაიხსნა და ინტერიოის ჩაეფილ ეროეს ფეოდალურ-ბურჟუაზიული ფიოდა დიდი ხანა ნანატრი დემოკრატიული ოფიციალურის ხანა. ბეგეთი ხიტეკის ცენზორა აეხსნა, ხინჯიის, ხიტეკის, ეროეხის, ეროეხისა და ეკეზრიის ოფიციალური ტეკეფილ ოეეკეფილ ოეეკეფ ოეეკ. დემოკრატიული ინტელიგენციელ ბეიეეე

ეროვნული ბიბლიოთეკა

1991 წლის 23 თებერვალს საქართველოს დედაქალაქში ეწყობა კრემლის საწინააღმდეგო ანტიიმპერიული გამოსვლა საოკუპაციო ჯარების გასვლის მოთხოვნით.

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია — ეროვნული კავშირის

მიმართვა

ქართველი ერისა და საქართველოს მოსახლეობისადმი

მამულიშვილნო! მეგობრებო! დებო და ძმებო!

იმასთან დაკავშირებით, რომ 1991 წლის 23 თებერვალს საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიისა და ეროვნული კავშირის ინიციატივით თბილისში ეწყობა სახალხო გამოსვლა საქართველოდან რუსეთის საბჭოთა იმპერიის საოკუპაციო ჯარების გასვლის მოთხოვნით და ამავე დროს დაგეგმილია მშვიდობიანი ნასიათის საპროტესტო მანიფესტაცია ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის წინ, გვსურს გავაკეთოთ შემდეგი განცხადება, რომ გაუგებრობას არ ჰქონდეს ადგილი.

ჯერ-ოდ, ძალიან ბევრი ჩვენი თანამემამულე დიდად შეაშფოთა ჩვენს მიერ დაგეგმილმა აქციამ, რადგან შტაბთან მისვლა, მათი აზრით, გამოიწვევს სამხედროების მხრიდან მანიფესტანტების დახოცვას. ეს შიში უსაფუძვლოდ მიგვაჩნია, რადგან, ჯერ ერთი, სამხედროებს სროლის უფლება აქვთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მანიფესტანტები შეეჯრებიან სამხედრო ობიექტის ტერიტორიაზე და გადალახავენ დადებულ ზღვარს, რასაც ჩვენ არ ვაპირებთ და არც ერთ შემთხვევაში მსგავსი რამ არ მოხდება. გარდა ამისა, საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიამ გასულ წელს ორგზის მოაწყო საპროტესტო მანიფესტაცია ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის წინ, 1990 წლის 23 თებერვალსა და 9 აპრილს. მაგრამ საბედნიეროდ სისხლი არ დაღვრილა. მაგრამ, ძვირფასო და საყვარელო თანამემამულენო, ვითვალისწინებთ რა იმას, რომ რუსეთის მოდერნიზებული იმპერიისაგან ყველათერია მოსალოდნელი, ჩვენ აქციას ვიწყებთ არა შტაბთან, არამედ კინოს სახლის წინ, რუსთაველის მოედანზე და ქართველ ხალხს მოვუწოდებთ 23 თებერვალს 12 საათზე მოვიდეს სწორედ შუთა რუსთაველის მოედანზე, კინოს სახლის წინ, რადგან კრემლის საწინააღმდეგო ანტიიმპერიული გამოსვლა ამ ტერიტორიაზეა დაგეგმილი. რაც შეეხება შტაბს, შტაბთან გასვლაში მონაწილეობას მიიღებს მხოლოდ საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია და ეროვნული კავშირი და საკუთარი სურვილისამებრ თავისუფალი მოხალისეები. მაგრამ, რა თქმა უნდა, თუ პროვოკაციის რეალური საფრთხე შეიქმნება, ჩვენი საერთო ეროვნული ინტერესებიდან და ხალხის ნებიდან გამომდინარე, საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია — ეროვნული კავშირი უკანასკნელ წუთებშიც მზად იქნება იმისათვის, რომ შტაბთან გასვლის განზრახვაზე ხელი აიღოს, რამეთუ თვითმიზანი ჩვენი თავისუფლება და დამოუკიდებლობაა, და არა საპროტესტო აქციები. მაგრამ საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია — ეროვნული კავშირი ყველაფერს იღონებს იმისათვის, რომ 1991 წლის 23 თებერვალს წარმატებით ჩატარდეს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის წინ მშვიდობიანი და უსისხლო კრემლის საწინააღმდეგო ანტიიმპერიული აქცია საქართველოდან საოკუპაციო ჯარების გასვლის მოთხოვნით.

ძვირფასო და საყვარელო თანამემამულენო! ჩვენს მიერ დასახული აქცია მიზნად ისახავს საქართველოში იმ გმირული და ჭეშმარიტი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დაბრუნებას, რომელიც სახეზე გვქონდა უახლოეს წარსულში, 1988 წლის ნოემბრის, 1989 წლის თებერვლის, აპრილის, აგვისტოს, ოქტომბრისა და 1991 წლის იანვრის დღეებში, როდესაც ერთ მუშტად შეკრული ქართველი ხალხი იბრძოდა მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს განთავისუფლებისათვის. დღეს, სამწუხაროდ, ჩვენო საყვარელო თანამემამულენო, თქვენს დიდ უმრავლესობას ძინავს. საქართველოს წინაშე უამრავი სამკვდრო-სასიცოცხლო პრობლემა დგას და გაიგეთ მეგობრებო, რომ ვერც ერთი მნიშვნელოვანი საკითხი ქართველი ერის სასარგებლოდ ვერ გადაწყდება, ვიდრე საქართველო არ განთავისუფლდება. ხოლო საქართველო ვერ განთავისუფლდება, ვიდრე ის იქნება მოქცეული საბჭოთა იმპერიის სახელმწიფო საზღვრების შემადგენლობაში და ვიდრე საქართველო ოკუპირებული იქნება საბჭოთა იმპერიის ჯარებითა და შეიარაღებული ძალებით. აქედან გამომდინარე მშვიდობიანი, არაშეიარაღებული, მაგრამ უკომპრომისო ბრძოლა საოკუპაციო ჯარების გაყვანის მოთხოვნით და ამ საკითხის რეალიზაცია, — აი, რა მოუტანს საქართველოს ხსნასა და გადარჩენას. თითოეულ ჩატარებულ ანტიიმპერიულ მასობრივ გამოსვლას საოკუპაციო ჯარების გაყვანის მოთხოვნით აქვს პრინციპული და გადამწყვეტი მნიშვნელობა იმ დიდი ისტორიულ-პოლიტიკური პროცესის დაჩქარებაში, რასაც საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა ჰქვია. ამიტომ მოგიწოდებთ ყველა ნაღდ ქართველს, აქტიური მონაწილეობა მიიღოთ იმ ანტიიმპერიულ აქციაში, რომელიც გაიმართება 23 თებერვალს, 12 საათზე, კინოს სახლის წინ რუსთაველის მოედანზე.

ირაკლი წერეთელი, თორნიკე ონიანი, ირაკლი ბათიაშვილი, ვალერი კალანდარიშვილი, თორნიკე ფიფია, თემურ ხუციათაშვილი, როგერტ ბირკაია.

1991 წლის 8 თებერვალს საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის მთავარმა კომიტეტმა მიიღო ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის მთავარსარდლის გენერალ-პოლკოვნიკ პატრიკეევის განცხადება, რომლის სრულ ტექსტსაც ვთავაზობთ მკითხველებს.

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის მთავარ კომიტეტს

როგორც პრესაში გამოქვეყნებული პუბლიკაციებით გახდა ცნობილი, საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის მთავარ კომიტეტს 1991 წლის 15 თებერვალს რესპუბლიკის რიგ რაიონებში, ხოლო 1991 წლის 23 თებერვალს ქ. თბილისში, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის წინ დაგეგმილი აქვს საპროტესტო მანიფესტაცია „რუსული საბჭოთა მოდერნიზებული იმპერიის საოკუპაციო არმიის“ რესპუბლიკის ტერიტორიიდან გაყვანის მოთხოვნით.

ამ „მშვიდობიანი საშუალებებით უკომპრომისო ბრძოლის“ აქციაში მონაწილეობისაკენ მოწოდებს, რომელთაც თან ახლავს გაფრთხილება, რომ დაუშვებელია რაიმე პროვოკაცია მანიფესტანტების მხრიდან, ფართო პროპაგანდას უწევენ საქართველოს რესპუბლიკის გაზეთები, რადიო და ტელევიზია.

მე არ ვაპირებ აღნიშნული ღონისძიების, მისი ზრახვებისა და მიზნების სამართლებრივ ან ეთიკურ შეფასებას, მაგრამ მინდა ხაზი გავუსვა იმ განსაკუთრებულ მორალურ დატვირთვასა და პოლიტიკურ პასუხისმგებლობას, რომელსაც საკუთარ თავზე იღებენ ამგვარი დემარშის ინიციატორები და ორგანიზატორები.

ვთვლი, რომ დღეს საქართველოში შექმნილ საგანგებოდ რთულ და კრიტიკულ ზღვრამდე მისულ სიტუაციაში ამგვარი აქციის ჩატარებისას იმის იმედად ყოფნა, რომ თავიდან იქნება აცილებული გაუთვალისწინებელი ექსცესები (ხხვასთან ერთად, ისინი შეიძლება გამოიწვიონ ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის მოწინააღმდეგეებმა მისი დისკრედიტაციის მიზნით), პროვოკაცია თუ არა, წმინდა წყლის პოლიტიკური ინფანტილიზმის გამოვლინებაა. მას მხოლოდ რესპუბლიკაში მდგომარეობის ახალი გამწვავება შეიძლება შედეგად მოჰყვეს.

არა მაქვს რა შესაძლებლობა, საპროტესტო აქციის ჩატარების პერიოდში — 1991 წლის 15-23 თებერვალს ხხვადასხვა პროვოკაციების თავიდან აცილების გარანტია მოგცეთ, ხალი აზრისა და კეთილგონიერებისაკენ (მოვუხმობ მანიფესტაციის ორგანიზატორებს და ვურჩევ, უარი თქვან დაგეგმილ ღონისძიებაზე. ჩემის ღრმა რწმენით, ასეთი გადაწყვეტილება იქნება ჭეშმარიტი პატრიოტიზმისა და თანამოქალაქეებზე ზრუნვის დემონსტრაცია და არა სისუსტე. ჩემის მხრივ, კატეგორიულად ვაცხადებ, რომ მომავალი საპროტესტო აქციების ნებისმიერ ნეგატიურ შედეგზე პასუხს მისი ინიციატორები აგებენ.

ოლქის ყველა სამხედრო გარნიზონის უფროსს ჩემგან მიღებული აქვს მითითება, რომ ხსრკ თავდაცვის სამინისტროს პოსტებზე, საყარაულოებზე, ობიექტებსა და დაწესებულებებზე შესაძლებელი თავდასხმის შემთხვევაში, ხსრკ შეიარაღებული ძალების წესდებების შესაბამისად ჩაერიონ მანიფესტაციების მხვლელობაში.

ვ. პატრიკეევი,
ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი, გენერალ-პოლკოვნიკი.

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის მთავარსარდალ გენერალ-პოლკოვნიკ ვლადიმერ პატრიკეევს

ბატონო გენერალ-პოლკოვნიკო! საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის მთავარმა კომიტეტმა მიიღო თქვენი განცხადება, რომელშიც თქვენ დიდ შეშფოთებას გამოთქვამთ იმ ვითომდაც მოსალოდნელი პროვოკაციების გამო, რომელიც თქვენი ვარაუდით შეიძლება მოჰყვეს 1991 წლის 23 თებერვალს ჩვენს მიერ დაგეგმილ აქციას საქართველოდან რუსეთის საბჭოთა მოდერნიზებული იმპერიის საოკუპაციო ჯარების გაყვანის მოთხოვნით და რომელშიც თქვენ იძლევით რჩევას, რომ ჩვენ უარი ვთქვათ ჩვენს განზრახვაზე.

ვინაიდან საქმე რჩევამდე მივიდა, ჩვენი მხრიდან გვინდა გირჩიოთ შემდეგი:

1. როდესაც ახსენებთ რუსეთის საბჭოთა იმპერიის საოკუპაციო ჯარებს, ამ სიტყვებს ნუ სვამთ ბრჭყალებში, რადგან, გვერწმუნეთ იმაში, რომ სახელმწიფო, რომელიც სსრ კავშირის სახელს ატარებს, და რომელსაც თქვენ ემსახურებით, მართლა იმპერიაა, ხოლო ამ იმპერიას დაქვემდებარებული და საქართველოს ტერიტორიაზე დისლოცირებული შეიარაღებული ძალები საქართველოს მიმართ ნამდვილად საოკუპაციო ჯარებია, რის გამოც ყველანაირი ლოგიკისა და ზნეობრივ სამართლებრივი ნორმების თანახმად მათ, რაც შეიძლება მალე, სრული შემადგენლობით უნდა დასტოვონ ჩვენი ქვეყნის მიწა-წყალი;

2. ბრჭყალებში ნუ სვამთ აგრეთვე მშვიდობიანი ფორმებით უკომპრომისო ბრძოლას, რადგან ქართველი ხალხი და მისი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოს თავისუფლებისა და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის მართლაც არაშეიარაღებული, მშვიდობიანი გზით იბრძვის.

რაც შეეხება მოსალოდნელ პროვოკაციებს, რომელზეც თქვენ მიუთითებთ, თქვენ შესანიშნავად უწყით, რომ ჩვენი მხრიდან მსგავსი რამ გამორიცხულია, რადგან საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიამ გასულ წელს ორგზის მოაწყო შტაბის წინ საპროტესტო აქცია, რომელიც მშვიდობიანად დაიწყო და მშვიდობიანად დამთავრდა. ასე რომ, თუ მაინც რაიმე პროვოკაციას ექნება ადგილი, სრული პასუხისმგებლობა მხოლოდ და მხოლოდ იმპერიას, მის აგენტურასა და სამხედრო უწყებებს დაეკისრებათ მთელი დემოკრატიული და ცივილიზებული სამყაროს წინაშე, რადგან თქვენ დამპყრობლები და ოკუპანტები ხართ. ამიტომ ჯობია თქვენი მხრიდან ხელისშეწყობას ჰქონდეს ადგილი, რათა წარმატებით ჩატარდეს ეს უაღრესად დემოკრატიული ხასიათის განმათავისუფლებელი მნიშვნელობის პოლიტიკური აქცია. ბევრად აჯობდა, თუ თქვენც და სამხედრო პირებიც მიიღებდით მონაწილეობას ამ ანტიიმპერიულ აქციაში.

რაც შეეხება უარის თქმას 23 თებერვლის ღონისძიებაზე, ამის ერთადერთი რეალური შესაძლებლობაა 1991 წლის 23 თებერვლამდე კრემლის ხელმძღვანელობასა და ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიას შორის მოლაპარაკების დაწყება საქართველოს სრული და უსიტყვო დეანექსიისა და დეოკუპაციის საკითხის გარშემო.

ირაკლი წერეთელი,
საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის თავმჯდომარე.

გაიხსნა ბიზნესის კურსები

საქართველოს მრეწველთა კავშირისა და სასწავლო-საკონსულტაციო ფირმა „მეკვლე-XXI“ თანასწორობით სამ იანვარს გაიხსნა და მუშაობას შეუდგა ბიზნესის სასწავლო კურსები მეთერთმეტე კლასის მოსწავლეთათვის.

მისი მიზანია ბიზნესით დაინტერესებულ მოსწავლეებს მისცეს სწორი ორიენტაცია და გაუწიოს სათანადო კონსულტაცია ნამდვილი ეკონომიკის დაუფლებაში.

ბიზნესის კურსებზე სწავლა უფასოა.

ბიზნესის კურსებზე ლექციებს კითხულობენ საქართველოს უზენაესი საბჭოს ეკონომიკური რეფორმის კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, დოცენტი რომან გოცირიძე, პროფესორები: მიხეილ ღოღობერიძე და ნოდარ გელაშვილი, დოცენტი ემირ ჯუღელი და სხვები. ამავე დროს მსმენელი მოსწავლეები გაეცნობიან თბილისის ზოგიერთი წამყვანი საწარმოს მუშაობას.

ბიზნესის კურსების მესვეურთა სურვილია, ამ წამოწყების ჰქონდეს სისტემატური ხასიათი, სახელდობრ, მოსწავლეთა დაინტერესების შემთხვევაში გაიხსნება ახალი ჯგუფები მეათე და მეცხრე კლასელთათვის.

საქართველოს მომავალ ბიზნესმენებს უფრო დაწვრილებითი ცნობებისათვის შეუძლიათ შემოიოთ უშუალოდ კურსების სპონსორებს — **თბილისი, ცხრა აპრილის ქუჩა № 6, ტელეფონი 93-75-10.**

გეპატიჟებათ საქართველოს ეროვნული ქორწინების სააგენტო!

თუ გსურთ ოჯახის შექმნა, ახალი მეგობრების შეძენა, მიმართეთ საქართველოს ეროვნული ქორწინების სააგენტოს.

რესპუბლიკაში უდიდესი საქორწინო კართოთეკის, თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკის, ანკეტების საშუალებათა გამოყენებით სააგენტო რამდენიმე თვეში შეგირჩევთ გაცნობის შესაფერის ვარიანტებს.

სააგენტოსთან თანამშრომლობენ გამოცდილი ფსიქოლოგები, სოციოლოგები, დემოგრაფები, მედიცინის დარგის სპეციალისტები. მომსახურება ანონიმურია.

სააგენტოს ანკეტები შეგიძლიათ შეიძინოთ ჟურნალ-გაზეთების ჯიხურებში, ამასთან, განცხადებები მიიღება სააგენტოს მისამართზე: **380004, თბილისი — 4, საბჭონტო უუთი — 114.**

იჩქარეთ ბედნიერი წყვილების, მეგობრების რაოდენობა დღითიდღე იზრდება.

საქართველოს ეროვნული ქორწინების სააგენტო

საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭომ არაერთხელ მიმართა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს, შინაგან საქმეთა მინისტრს, სხვა თანამდებობის პირებს თხოვნით, გაეაქტიურებინათ მუშაობა საქართველოს ტერიტორიაზე დისლოცირებული ჯარების წინააღმდეგ არახამართლებრივ მოქმედებათა აღსაკვეთად, შეიარაღებული თავდასხმების შედეგად გატაცებული იარაღის, საბრძოლო მასალის, საბრძოლო და საავტომობილო ტექნიკის დასაბრუნებლად.

გატაცებული სახროლი იარაღის 97 ერთეულიდან, 570 ხელყუმბარიდან, 21.293 ცალი საბრძოლო მასალიდან, 649 ერთეული საავტომობილო ტექნიკიდან დღემდე არც ერთი არ დაუბრუნებიათ, და ეს მაშინ, როცა უმრავლეს შემთხვევაში ოლქის ხელმძღვანელობა მიუთითებდა კონკრეტულ ადგილსამყოფელზე, დანაშაულებრივი აქციის შემსრულებლებზე. ჩვენი მმართველი და თხოვნანი უყურადღებოდ რჩება.

ზომების მიუღებლობამ, დაუსჯელობამ მიგვიყვანა სამხედრო მოსამსახურეთა მიმართ აღვირახსნილ მოქმედებათა ესკალაციამდე, რომლებიც ხორციელდება სხვადასხვა ექსტრემისტულ დაჯგუფებათა მიერ. მათ შემადგენლობაში იმყოფებიან გამოუსწორებელი ხიხლის სამართლის დამნაშავე ელემენტებიც.

მომდინარე წლის მხოლოდ იანვრის თვეში, მხოლოდ ქ. თბილისში განხორციელდა შეიარაღებული თავდასხმა სამხედრო მოსამსახურე მაიორ ვ. ი. გოლუბევზე, ლეიტენანტ დ. ა. დოლგოვზე, შემდეგ (ვ. ი. კლიკინზე, რიგით ს. ი. არტეევზე, რომელნიც სხეულის მძიმე დაზიანებით ჰოსპიტალში არიან მოთავსებულნი.

ამავე პერიოდში შეიარაღებული ბანდიტების მიერ გატაცებულია 6 ავტომობილი., ამასთან მძღოლებს ბარბაროსულად გაუსწორდნენ, რიგითებს რ. ფ. ფრიცლერს და ა. რ. ოზეროვს ყველაფერი გახადეს, ყინვაში ამყოფებდნენ გატაცებული ავტომობილის შეკეთების მოთხოვნით.

ხაქმე მივიდა ოლქის ჯარების მეთაურის ბინაზე თავდასხმამდე, რის შედეგადაც მიყენებულია მატერიალური ზარალი.

ოლქის სამხედრო საბჭო გამოხატავს თავის ღრმა შეშფოთებას სამხედრო მოსამსახურეთა წინააღმდეგ დანაშაულებრივ მოქმედებათა მკვეთრ ზრდასთან დაკავშირებით, მას ჩვენ ვაფასებთ როგორც ნებისმიერი საბაბით არმიასა და საქართველოს მოსახლეობას შორის შეჯახების პროვოცირების ცდას.

ყველაფერი ეს ხდება სამართალდამცავი ორგანოების სრულიად გაუგებარი ნეიტრალიტეტის ფონზე.

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭო ოფიციალურად გაცნობებთ, თუ თავაშვებული ძალადობა, არახამართლებრივი მოქმედებანი არ აღიკვეთება, მიღებულ იქნება ყველაზე გადამწყვეტი ზომები სამხედრო მოსამსახურეებისა და მათი ოჯახების ხინდიხის, ღირსებისა და ხიცოცხლის დასაცავად. ამ საგანგებო ზომებზე პასუხისმგებლობა მთლიანად დაეკისრება საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელობას.

დაბეჯითებით გთხოვთ,. გამოაქვეყნოთ ჩვენი მმართვა მასობრივი ინფორმაციის რესპუბლიკურ საშუალებებში.

მმართვის ასლები გაეგზავნათ გაზეთების „ახალი საქართველოსა“ და „ვეტერნიკ გრუზიის“ მთავარ რედაქტორებს, „ახალგაზრდა ივერიელის“ რედაქტორს, საქართველოს რესპუბლიკის სახტელერადიოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს.

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭო.

რედაქციისაგან:

როგორც ხედავთ, სამხედრო საბჭოს მმართველობაში არცთუ მთლად მიღებული ხერხია გამოყენებული. ცალკეული პოლიტიკურ სარჩულად გამოყენებული ფაქტები (რომელთაგან ბევრის რეალურობა საეჭვოა) განზოგადებულია, რათა დაიხატოს სურათი სამხედრო მოსამსახურეთა ჩაგვრისა. ცხადია, შეუძლებელია, რომ ახლოლუტური ხელშეუხებლობა აღვუთქვათ ვინმეს, ამისგან არავინ არაა დაზღვეული. ამისი დადასტურებაა ჩვენი დიდი უბედურება, უამრავი ფაქტი, როცა ქართველი ქართველს ეხმის თავს, მაგრამ აქედან შორეული პოლიტიკური დასკვნების გამოტანა და „ორიგინალური“ ინტერპრეტაცია, როგორც საკუთარ შემთხვევაში ცდილობენ მმართვის ავტორები, ყოვლად უსაფუძვლოა. ცხადია, იხმის კითხვა, ხომ არაა ეს ჩვეულებრივი ტაქტიკური ხვლა, სამხედრო „ღონისძიების“ წინასწარი შემზადება და მისთვის საბაბისა თუ „სამართლებრივი“ საფუძვლების ძიება, რათა, როგორც იყო, ვთქვათ, ხულ ახლახანს ბალტიის ქვეყნებში, „საკადრისი პასუხი“ აგებინონ მოსახლეობას „მშვიდობიანი“ სამხედროების შევიწროებისათვის? თუ გავითვალისწინებთ მმართვაში არაორაზროვნად გაცხადებულ მუქარას, ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ძნელი არ უნდა იყოს.

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წერილში მოტანილი ფაქტების შესახებ სათანადო განმარტება ვთხოვეთ თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს.

ვინაიდან რამდენიმე ფაქტი დასაზუსტებელია, კომენტარს შემდეგ ნომერში შემოგთავაზებთ.

განვლილი წლის შესაფასებლად

8 თებერვალს, ტრადიციისამებრ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეიკრიბნენ პროფესორ-მასწავლებლები, რათა გარკვეულწილად შეეფასებინათ განვლილი წელი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოზე ერთი წლის წინ გადაწყდა, რომ უნივერსიტეტის ორგანიზაციული სრულყოფის აუცილებელი პირობაა მისი ავტონომია. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბჭოს მიერ გამოყოფილ კომისიას ერთი წელი დასჭირდა იმისათვის, რომ საბჭოზე დასამტკიცებლად წარუდგინა სუვერენიტეტის დებულების პროექტი. ახლა ამ პროექტს წარუდგენენ უზენაეს საბჭოს.

სამეცნიერო საბჭო იტოვებს უფლებას, დროთა განმავლობაში შეცვალოს დებულება, თუ ამას საჭიროდ მიიჩნევს საბჭოს წევრთა ორი მესამედი.

სხდომაზე განიხილეს საკითხები უნივერსიტეტის სტუდენტალაქის ტერიტორიის, მისაღები გამოცდების, სწავლის დონის ამაღლებასთან დაკავშირებით. ფიზიკის ფაკულტეტის დოცენტმა ზურაბ შენგელიამ გამოთქვა სურვილი, რომ დაარსდეს სახოგადოება „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, რომელიც მრავალი კეთილი საქმის წამომწყები გახდება.

ნანა კალმახელიძე

ვითარება ცხინვალში

12 თებერვალს ცხინვალში შედარებით სიმშვიდე იყო. ამ დღეს აქ ჩამოვიდა საკავშირო შინაგანი ჯარების სარდალი გენერალ-პოლკოვნიკი იური შატალინი. იგი შეხვდა ქალაქის საბჭოს აღმასკომის წევრებსა და სახოგადოებრიობის წარმომადგენლებს, ხოლო შემდეგ მოაწყო თათბირი ცხინვალში დისლოცირებული შინაგანი ჯარების ნაწილების მეთაურებთან.

იმავე დღეს საღამოს ქ. ცხინვალში ექსტრემისტებმა დაკავეს სოფელ ხეითში მიმავალი სატვირთო ავტომანქანა და მისი მძღოლი, რომელსაც კომბინირებული საკვები გადაჰქონდა.

13 თებერვალს დღის განმავლობაში შედარებით სიმშვიდე იყო, მაგრამ ღამით აქა-იქ ისმოდა სროლა.

12 თებერვალს პროგრამა „ვრემიამ“ გადმოსცა ინფორმაცია სამხედროების მიერ საქართველოს სახელმწიფო ავტონსპექციის შვეულმფრენის დაკავების შესახებ, რომელშიც, თითქოს, აღბუნებრივია, რომ საჭიროა საქართველოში „წესრიგის დამყარება“.

ჩვენთვის ისიც გახდა ცნობილი, რომ 11 თებერვლიდან თბილისში იმყოფება სპეციალური დანიშნულების ნაწილის 1400 მომსახურე, რომელთაც ქართველები 1989 წლის 9 აპრილის სისხლიანი კვირიდან კარგად იცნობენ.

საქართველოში თავს არ ესხმიან არც სამხედრო ობიექტებს და არც სამხედრო მოსამსახურეებს და ვინც ამას მომავალში გააკეთებს, ის თავად იქნება მოსკოვისა და საოკუპაციო ჯარების აგენტი.

ქართველი ერი ყოველთვის მშვიდობიანი პოლიტიკური მეთოდებით იბრძოდა დამოუკიდებლობისათვის და დღესაც არ ღალატობს ამ პრინციპებს. ვერანაირი დეზინფორმაცია ვერ მოამზადებს ნიადაგს საქართველოში ახალი აგრესიისათვის.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია 13.02. 91.

საზღვარგარეთელი ქართველი მეცნიერები თბილისში შეიკრიბებიან

საქართველოს ექიმთა ასოციაცია ამა წლის 24-27 ოქტომბერს ქ. თბილისში ატარებს ქართველ ექიმთა პირველ მსოფლიო კონგრესს. კონგრესის მიზანია საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველ ექიმებთან შეგობრული და საქმიანი ურთიერთობის დამყარება, მათი ჩაბმა რესპუბლიკის ჯანდაცვის და სამედიცინო მეცნიერების განვითარების საკითხების გადაწყვეტაში, საქართველოში არსებული სოციალურ-პოლიტიკური ვითარების გაცნობა და ობიექტური ინფორმაციის გატანა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში.

კონგრესში მონაწილეობის სურვილი უკვე გამოთქვეს აშშ-ში, არგენტინაში, საფრანგეთში და ისრაელში მოღვაწე ექიმებმა. შესაძლოა, რომ ჩვენ ყველა ქართველ ექიმს ვერ მივაწვდინოთ ხმა, ამიტომ გთხოვთ ყველას, ვისაც გაგიგია ასეთი ახლობელი ან ნაცნობი შეგვატყობინოთ მათი მისამართები საორგანიზაციო კომიტეტში. ჩვენი მისამართია: ქ. თბილისი, 380059, დიღომი, ჭიაურელის ქუჩა 1, ქირურგიის ინსტიტუტი, ტელეფონი: 51-16-15.

საორგანიზაციო კომიტეტის სახელით ექიმთა ასოციაციის გამგეობის წევრი ბუბა ლომაშანიძე.

ყურადღება!

15-20 თებერვალს დაბა ბაკურიანში ჩატარდება ახალგაზრდა მედიკოსთა მე-20 რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც ეძღვნება ონკოლოგიის, ქირურგიის, თერაპიის, ნევროლოგიის, იმუნოლოგიის, პროფილაქტიკური, ექსპერიმენტული და თეორიული მედიცინის თანამედროვე აქტუალურ პრობლემებს.

ახალგაზრდა მედიკოსთა ძალებით ჩატარდება ბორჯომის რაიონის მოსახლეობის პროფილაქტიკური შემოწმება, წამყვანი სპეციალისტები და მეცნიერები ჩაატარებენ სალექციო-საკონსულტაციო მუშაობას.

კონფერენციის ორგანიზატორია საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო, მედიცინის მუშაკთა დამოუკიდებელი პროფკავშირი და ახალგაზრდა მედიკოსთა საზოგადოება.

თბილისური ვერნისაჟები

ნორჩი მხატვრის პერსონალური გამოფენა



ძველი თბილისის მყუდრო კუთხეში — აბანოთუბანში მდებარე შემოქმედებითი კლუბის „ფიროსმანის“ შენობაში გაიხსნა თბილისის № 35 საშუალო სკოლის მეცხრეკლასელის ლაშა მინდიაშვილის პერსონალური გამოფენა.

ნორჩი მხატვარი ხატვამ ჯერ კიდევ ადრეული ასაკიდან გაიტაცა. ახლა იგი მთელ თავისუფალ დროს უთმობს სახვით ხელოვნებას. მან უკვე შექმნა დაახლოებით 120 ორიგინალური ნამუშევარი.

ლაშა მინდიაშვილი თავისი ნიჭის გამოხატვის ახალი ფორმების გამუდმებულ ძიებაშია.

ამ გამოფენაზე ნორჩმა მხატვარმა გამოიტანა თავისი 35 ყველაზე საყვარელი ნამუშევარი.

სურათებზე: კლუბ „ფიროსმანის“ სადამოფენო დარბაზში; ლაშა მინდიაშვილის ნამუშევრის „ქრისტეს“ რეპროდუქცია; ნორჩი მხატვრის ნამუშევარი „მოხუცები“.

ვლადიმერ ვალიშვილის ფოტოები (საქინფორმის ფოტოქრონიკა)

ღორძინება არგო

გვერდის სპონსორები არიან საქველმოქმედო ასოციაცია „ღორძინება“ და ამავე ასოციაციის ფირმა „არგო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო ჩემთვის უცნობი ქვეყანა იყო

ჩვენი ქალაქის სტუმარია ფრაიბურგის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, რუსეთ-საბჭოთა კავშირის ისტორიის კათედრის ლექტორი ოლგენ ბეაბა. 17 თებერვალს იოგენი გერმანიაში მიემგზავრება, მანამდე კი ინტერვიუს საშუალებით შევეცდებით გაგაცნოთ იგი.

— რა მიზნით ჩამოხვედით საქართველოში?

— ჩემი ვიზიტის მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ ვაგროვებ მასალებს ჩემი მომავალი წიგნისათვის, რომელიც შეეხება საქართველოში არსებულ ნაციონალურ მოძრაობას. წიგნში აღწერილი იქნება პერიოდი 50-იანი წლებიდან დღემდე, მრავალპარტიული არჩევნების ჩათვლით. ბუნებრივია შევეხები მერაბ კოსტავასა და ზვიად გამსახურდიას მოღვაწეობას, 70-იანი წლების აქციებს, მიტინგებს, რომლებიც რუსული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადების წინააღმდეგ მოეწყო, ჰელსინკის კავშირის შექმნას და სხვა, ე. ი. წიგნი შეეხება ქართული ნაციონალური ოპოზიციის ისტორიას.

— რატომ აირჩიეთ მაინც და მაინც საქართველო?

— ამას ორი მიზეზი აქვს: როცა პირველად ჩამოვედი, ძალიან ცოტა რამ ვიცოდი საქართველოს შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ქართული ფილმი მქონდა ნახული, მაგრამ საქართველო ჩემთვის მაინც უცნობი ქვეყანა იყო.

შემდეგ ქართველი მეგობრებისაგან ბევრი რამ გავიგე ქართული ტრადიციების, კულტურისა და ისტორიის შესახებ და როცა დავბრუნდი გერმანიაში, პირველი წიგნი, რომელიც მოვძებნე და წავიკითხე, საქართველოს ისტორია გახლდათ. ამ წიგნმა მომცა ბიძგი დამეწყო ნაშრომი საქართველოზე. მეორე მიზეზი ჩემი საქართველოთი დაინტერესებისა ისაა, რომ ჩვენი ისტორიკოსები ყურადღებას აქცევენ და დაინტერესებულნი არიან ევროპის, რუსეთის, უკრაინის, ბალტიისპირეთის ისტორიით, საქართველოს შესახებ კი ძალიან მცირე მეცნიერული ნაშრომები მოგვეპოვება.

— რას მიიჩნევთ ამის მიზეზად, ინფორმაციის ნაკლებობას?

— დიახ, ვგონებ ინფორმაციის გატანას ევროპაში და ყურადღების მიპყრობას ბალტიისპირეთის ქვეყნების დახმარებით უფრო კარგად შესძლებთ, ევროპიდან საქართველოზე რაიმეს გაგება შეუძლებელია, ამიტომაც ვიმყოფები მე დღეს საქართველოში.

— ძალიან ხშირად საქართველოში ჩამოსულ სტუმარს ეკითხებიან, რა მოგეწონათ, რითი მოგხიბლათ საქართველომ და ქართველმა ხალხმა...

მე კი ახლა გკითხავ: — რამ არ მოგხიბლათ საქართველოში, რა არ მოგეწონათ ჩვენი?

— ძნელი სათქმელია, საქმე იმაში, „ვახლავთ, რომ გასამართლება არ შეიძლება. ჩვენ ჩვენი ცხოვრებით ვცხოვრობთ, თქვენ თქვენი ცხოვრებით.

მე არ შემიძლია და არც მინდა ვთქვა, რომ ეს ცუდია, მაგრამ რაც პირველად მომხვდა თალში, იაა, რომ საქართველოში ძირითადად მოქმედებს და ფიგურირებს მამაკაცთა საზოგადოება, ქალები კი ტრადიციულ როლს თამაშობენ: აჩენენ შვილებს და დილიდან საღამომდე სამზარეულოში ფუსფუსებენ. ეს ჩემთვის მიუღებელია. ალბათ იმიტომ, რომ მე დავიბადე ისეთ ქვეყანაში, სადაც ქალთა ემანსიპაცია ოცი-ოცდახუთი წლიდან თამაშობს დიდ როლს. არ ვიცი, შეიძლება ჩვენთან სხვა გარემო და ფსიქოლოგიაა, მაგრამ მიმაჩნია, რომ თუ საქართველო აპირებს თავისი ეკონომიკის და სახელმწიფოს გარდაქმნას, უნდა გაითვალისწინოთ, რომ ქალთა ამოცანა ზემოთ აღნიშნულში არ მდგომარეობს, ისინიც უნდა ჩაებან და მონაწილეობა მიიღონ გარდაქმნაში.

— თქვენი შეხედულება ქართულ ეროვნულ მოძრაობაზე?

— ამ კითხვას მე ვერ გავცემ პასუხს, რადგან უნდა ვისაუბრო იმაზე, რაც დაიწერება ჩემს წიგნში, თანაც ყოველივე ეს პოლიტიკას ეხება...

— როგორ ფიქრობთ, ისტორიული კანონზომიერების მიხედვით, სწორი გზა აქვს არჩეული ეროვნულ მოძრაობას?

— ისტორიული კანონზომიერების მიხედვით ეს გზა არ არის სავსებით სწორი, თუ რატომ, ამის ასახსნელად პოლიტიკას უნდა შევეხო...

— როდის იქნება თქვენი წიგნი მზად? როდის გამოიცემა?

— ალბათ ზაფხულში, როცა სამუშაოს დავამთავრებ. გამოცემა კი, ისევე როგორც თქვენთან, ტექნიკურ მიზეზებსა და გამომცემლობაზეა დამოკიდებული.

— რომელ ენაზე და რა საშუალებით გაეცნობა ქართველი მკითხველი თქვენს წიგნს?

— აუცილებლად გადავთარგმნინებ ინგლისურად, რუსულად, ასე რომ, წიგნი გამოვა სამ ენაზე, ალბათ მომავალ წელს.

— თქვენს სამომავლო გეგმებზე რას გვეტყოდით?

— ზუსტად არ ვიცი, რას გავაკეთებ, მინდა კიდევ რაიმე დავწერო საქართველოზე, ხოლო ის, რაც ნამდვილად ვიცი, ისაა, რომ კიდევ ჩამოვალ საქართველოში და ქართულ ენას ვისწავლი.

— რას უსურვებდით ჩვენს ხალხს?

— მალე მოეპოვებინოს თავისუფლება, გამხდარიყოს დამოუკიდებელი სახელმწიფო, ხალხს ეცხოვროს თავის ნებაზე, თვითონ ყოფილიყოს საკუთარი ცხოვრების განმგებელი. ყოველივე ამისათვის კი, ჩემი აზრით, საჭიროა მეტი გონიერების გამოჩენა და არა ემოციის, ტემპერამენტის აყოლა, იმიტომ, რომ ასეთი მიზნის მიღწევა ძალიან, ძალიან ძნელია... პოლიტიკა გონიერების გარეშე კი ცუდი პოლიტიკაა და ეს ქართველმა ხალხმა მშვენივრად იცის.

— რა გაიფიქრეთ, როცა პირველად სტოვებდით საქართველოს?

— არასოდეს დამავიწყდება აქ გატარებული დღეების სიტკბო. არ მინდოდა წასვლა, მე აქ ვტოვებდი საუკეთესო მეგობრებს, ულამაზეს ქალაქს, ძველი თბილისის აივნიან სახლებს, და იმ სახლებში მცხოვრებ თბილ ადამიანებს... მეგობრებიც რომ არ მყავდეს საქართველოში, მაინც ჩამოვალ, რადგან საქართველო ის ქვეყანაა, რომელიც აუცილებლად მოგანატრებს თავს.

ესაუბრა ხათუნა დანელია

ირაკლი ჰუონიას ფოტო.

სამთო მოთხილამურეთა საყურადღებოდ!

ვისაც გსურთ თხილამურებზე სამაგრების სასწრაფოდ დაყენება, შეგიძლიათ მიმართოთ გამოცდილ სპეციალისტებს მისამართზე:

დიღმის მასივი, მე-3 კვ., 39-ე კორპ.,
მე-2 სადარბაზო, მე-6 სართული, ბინა 64,
საფეხბურთო სკოლა „ავაზას“ პირდაპირ

სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკი“

25 წელი ქართული როკ-ჯგუფები როკ-მუსიკის სამსახურში

ი.ვეკუას სახელობის ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბი გიწვევთ სახელმწიფო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში 14-15-16-17 თებერვალს ჰიტპარადზე.

სპონსორები: ამერიკა-საქართველოს ერთობლივი შემოქმედებითი გაერთიანება „ლიმეო-არკს“, ფირმა „არგო“, ფირმა „ვესტა“.

შემოსავალი გადაირიცხება სამაჩაბლოს აღორძინების ფონდში.

სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკი“

ფირმა „ჯაკო“

რომელიც აწარმოებს შენობა-ნაგებობების სახურავების კაპიტალურ რემონტს, დაინტერესებულ ორგანიზაციებს, წარმოება-დაწესებულებებს, კოოპერატიული სახლების თავმჯდომარეებს და კერძო პირებს აცნობებს, რომ შეუძლიათ დაგვიდონ ხელშეკრულება. ცნობებისათვის დარეკეთ თბილისში ტელეფონებზე:

74-54-25 9.00—18.00 სთ-მდე, ყოველდღე ან
74-74-17 19.00—23.00 სთ-მდე, ან
67-09-03 19.00—23.00 სთ-მდე

ანგარიშსწორება შეიძლება მოხდეს როგორც გადარიცხვით, ასევე ნაღდ ანგარიშზე. დამკვეთს შეუძლია გამოიყენოს მისი კუთვნილი მასალა.

სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკი“

ქ. რუსთავის № 94 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი

აცხადებს

საშუალო განათლების მქონე ახალგაზრდების მიღებას 1991 წლის პირველი კვარტლისათვის. სასწავლებელი ამზადებს:

1. მარტენის ღუმელის შემკეთებელ კალატოზებს.
2. მეტალურგიული მრეწველობის ხიდური ამწის მემანქანეს.

სწავლის ხანგრძლივობა 10 თვე.

სასწავლებელში მიიღებიან საშუალო განათლების მქონე ქალიშვილები და ჭაბუკები 17-დან 30 წლის ასაკამდე. მოსწავლეებს ეძლევათ გადიდებული სტიპენდია 130 მანეთამდე ყოველთვიურად. სწავლის პერიოდი ითვლება საერთო და უწყვეტი მუშაობის სტაჟად, რაიონიდან ჩამოსული ვაჟები უზრუნველყოფილი იქნებიან კეთილმოწყობილი საერთო საცხოვრებლით, ქ. რუსთავში ჩაწერით და საერთო წესით აყვანილი იქნებიან ბინის მიღების რიგში.

სასწავლებლის წარჩინების დიპლომით კურსდამთავრებულნი, დღის დასწრებულ უმაღლეს სასწავლებელში მიხეკებული პროფესიის ან მონათესავე სპეციალობის მიხედვით შესვლის დროს სარგებლობენ საშუალო სკოლის ოქროს მედალოსნისათვის დადგენილი უპირატესობით, ხოლო მეტალურგიული სპეციალობის წარჩინებით კურსდამთავრებულნი მეტალურგიულ ფაკულტეტზე ჩაირიცხებიან მისაღები გამოცდების გარეშე, მათემატიკასა და ფიზიკაში გასაუბრების წესით.

სწავლა დაიწყება 1991 წლის 1 მარტს.

სასწავლებლის მისამართია: ქ. რუსთავი, დავით გარეჯის ჩუქა № 14-ა.

ელმსმენი: 14-36-49. 14-43-70.

დირექცია

როცა გაზეთი დასაბეჭდად მზად იყო

გუშინ დილით ჩვენთვის ჯერ-ჯერობით დაუდგენელი ვინაობის პიროვნებამ სცადა № 230 რეისის — თბილისი-მოსკოვი — თვითმფრინავის გატაცება. რესპუბლიკის უშიშროების კომიტეტისა და მილიციის ერთობლივი ძალისხმევით, თვითმფრინავი 20 წუთში კვლავ თბილისის აეროპორტში დაეშვა. მსხვერპლი არ ყოფილა. მიმდინარეობს ძიება.

ხალგაზრდა ქართველი

Общественно - политическая молодежная газета «Ахалгазрда Ивериели»

ტელეფონები: მისაღები — 98-97-61;
პასუხისმგებელი მდივანი — 98-21-50;
წერილების განყოფილება — 99-99-49.

გაზეთი ეკუთვნის კვირაში სამჯერ საქართველოს, ოსეთისა, შავის.
რედაქციაში შეწირული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებიან.

რედაქტორი
ვერა ბალარაკიშვილი

საქართველოს ეროვნულ-გაზეთების გამომცემლობა „ხამშობლის“ სტამბა, თბილისი, ს. კოსტავას 14, ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხიშარულის 29.
№ 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15

Наш индекс 66400

რედაქციის მისამართია
ქ. თბილისი — 380096.
ს. კოსტავას ქ. № 14.